

შპს ასპრია სიიდს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
6. გადახდილი ავანსები	12
7. მარაგები	13
8. ძირითადი საშუალებები	13
9. სავაჭრო ვალდებულებები.....	15
10. მოკლევადიანი და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები.....	15
11. გამოუმუშავებელი შემოსავალი	15
12. გრძელვადიანი სესხები.....	16
13. საწესდებო კაპიტალი	16
14. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	16
15. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი).....	17
16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შენიშვნა	31-12-21	31-12-20 (გადაანგარიშებული)	31-12-19 (გადაანგარიშებული)
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	34,451	167,605
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	7,015,306	9,970,444
გადახდილი ავანსები	6	1,653,343	345,799
მარაგები	7	2,884,160	423,687
სხვა მოკლევადიანი აქტივები		17,741	95,682
სულ მოკლევადიანი აქტივები	11,605,001	11,003,217	10,243,433
გრძელვადიანი აქტივები			
გაცემული სესხები		59,471	-
ძირითადი საშუალებები	8	4,662,313	1,934,528
არამატერიალური აქტივები		3,636	3,636
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,725,420	1,938,164	2,172,745
სულ აქტივები	16,330,421	12,941,381	12,416,178
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	9	415,029	2,012,312
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	10	224,382	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	11	1,014,769	45,953
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		33,764	53,582
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,687,944	2,111,847	1,625,040
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	10	971,597	-
გრძელვადიანი სესხები	12	2,470,983	4,679,011
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,442,580	4,679,011	6,543,367
სულ ვალდებულებები	5,130,524	6,790,858	8,168,407
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	100	100
გაუნაწილებელი მოგება		11,199,797	6,150,423
სულ საკუთარი კაპიტალი	11,199,897	6,150,523	4,247,771
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	16,330,421	12,941,381	12,416,178

დირექტორი



ფრედერიკო რობერტი ედმონდი შავინი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20 (გადაანგარიშებული)	31-12-19 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	34,451	167,605	35,724
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	7,015,306	9,970,444	9,282,462
გადახდილი ავანსები	6	1,653,343	345,799	329,309
მარაგები	7	2,884,160	423,687	576,349
სხვა მოკლევადიანი აქტივები		17,741	95,682	19,589
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,605,001	11,003,217	10,243,433
გრძელვადიანი აქტივები				
გაცემული სესხები		59,471	-	-
ძირითადი საშუალებები	8	4,662,313	1,934,528	2,169,109
არამატერიალური აქტივები		3,636	3,636	3,636
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,725,420	1,938,164	2,172,745
სულ აქტივები		16,330,421	12,941,381	12,416,178
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	415,029	2,012,312	1,554,472
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	10	224,382	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	11	1,014,769	45,953	51,278
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		33,764	53,582	19,290
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,687,944	2,111,847	1,625,040
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	10	971,597	-	-
გრძელვადიანი სესხები	12	2,470,983	4,679,011	6,543,367
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,442,580	4,679,011	6,543,367
სულ ვალდებულებები		5,130,524	6,790,858	8,168,407
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	100	100	100
გაუნაწილებელი მოგება		11,199,797	6,150,423	4,247,671
სულ საკუთარი კაპიტალი		11,199,897	6,150,523	4,247,771
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,330,421	12,941,381	12,416,178

დირექტორი -----

ფრედერიკო რობერტი ედმონდი შავინი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	3,932,297	2,614,628
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14	(546,555)	(637,729)
საერთო მოგება		3,385,742	1,976,899
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(432,891)	(218,240)
ხელფასები და სხვა სარგებელი		(146,675)	(109,112)
ცვეთის ხარჯი	8	(348,394)	(257,871)
საპროცენტო შემოსავალი		5,346	-
საპროცენტო ხარჯი		(258,822)	(144,042)
საოპერაციო მოგება		2,204,306	1,247,634
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	15	3,059,232	655,118
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(214,164)	-
მოგება დაბეგვრამდე		5,049,374	1,902,752
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		5,049,374	1,902,752

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)		100	4,247,671	4,247,771
წმინდა მოგება		-	1,902,752	1,902,752
საწესდებო კაპიტალის ზრდა/ (შემცირება)	13	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)		100	6,150,423	6,150,523
წმინდა მოგება		-	5,049,374	5,049,374
საწესდებო კაპიტალის ზრდა/ (შემცირება)	13	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი		100	11,199,797	11,199,897

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ასპრია სიიდს ჯორჯია დაფუძნდა 2010 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ამბროლაურის ქ., № 166, კორპ. № 6, ბ. №7ა. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 404871251. კომპანიის 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ემზარ ნოზაძე, 01024040401.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (სიმინდი, მზესუმზირა და სხვა) წარმოება და საბითუმო ვაჭრობა მცენარის თესვებით, მარცვლეულითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებით. კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს როგორც ადგილობრივ ბაზარზე და ასევე საზღვარგარეთ. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი ფრედერიკო რობერტი ედმონდი შავინი (12CK23180, 18FV00432 /საფრანგეთი).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2021 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ

გადაიანგარიშა და მცირედით დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ყველა ის ფინანსური უწყისი, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	შენიშვნა	2020	2019	2018
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	847,720	789,713	277,124
არამატერიალური აქტივები		3,636	3,636	3,636
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	1,087,266	1,379,396	1,432,839
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,938,622	2,172,745	1,713,598
სასაქონლო მარაგები	6	423,687	576,349	397,323
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	7	10,332,482	9,632,361	4,376,126
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	259,005	46,680	102,305
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,015,173	10,255,390	4,875,754
სულ აქტივები		12,953,795	12,428,135	6,589,352
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		40,595	-	94,925
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		11,788	7,555	2,085
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	2,071,420	3,104,838	2,304,478
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,123,804	3,112,392	2,401,488
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	10	4,679,011	5,067,972	3,999,072
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,679,011	5,067,972	3,999,072
სულ ვალდებულებები		6,802,815	8,180,365	6,400,560
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		100	100	100
გაუნაწილებელი მოგება		6,150,880	4,247,671	188,692
სულ საკუთარი კაპიტალი		6,150,980	4,247,771	188,792
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		12,953,795	12,428,135	6,589,352

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გადაანგარიშებამდე):

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	11	2,614,627	5,055,458
ამონაგების თვითღირებულება	12	(637,729)	(3,855,040)
საერთო მოგება		1,976,899	1,200,418
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(585,222)	(682,936)
ფინანსური ხარჯი	14	(144,042)	(100,753)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	15	655,576	3,642,249
მოგება დაბეგვრამდე		1,903,210	4,058,978
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		1,903,210	4,058,978

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გადაანგარიშებამდე):

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი - 01.01.2019	100	188,692	188,792
პერიოდის მოგება		4,058,978	4,058,978
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-
ნაშთი - 31.12.2019	100	4,247,671	4,247,771
პერიოდის მოგება		1,903,210	1,903,210
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-
ნაშთი - 31.12.2020	100	6,150,880	6,150,980

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ახორციელებს საქონლის ექსპორტს საზღვარგარეთ. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

3.2 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაკვეთის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ტექნიკა	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10
შენობები	20
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან

ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიას. არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

3.5 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით ან გამოიყენება ისეთი პროდუქტის შესაქმნელად რომელიც განკუთვნილია რეალიზაციისთვის. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

კომპანიას მარაგებში ასევე აღრიცხული აქვს მოსავლის ალების შედეგად მიღებული აქტივები (სიმინდი, მზესუმზირა და ძირტკბილას ფესვები). აღნიშნული აქტივები მოსავლის ალების მომენტში რეგულირდება ბასს 41-ის („სოფლის მეურნეობა“) შესაბამისად, რომლის მიხედვითაც აქტივი აღირიცხება თანხით, რომელიც უდრის სამართლიან ღირებულებას (საბაზრო ღირებულებას) მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები. შემდგომში აღნიშნული პროდუქციის აღრიცხვისთვის გამოიყენება ბასს 2 – „მარაგები“.

3.6 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის ალების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის

შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.7 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.8 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და სხვა სარგებელი) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.9 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს სამეურნეო, კომუნალურ, საკონსულტაციო, მიმდინარე რემონტის და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას პერიოდულად აქვს ფული სალაროში.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-21	31-12-20
ფული სალაროში	-	57,111
ფული საბანკო ანგარიშებზე	34,451	110,494
სულ	34,451	167,605

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ მიაწოდა საქონელი და რომელთაგანაც თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხოლო სხვა მოთხოვნები შედგება კომპანიის მიერ ძირითადი საშუალებების რეალიზაციის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნებისგან. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-12-21	31-12-20
არარეზიდენტებისთვის საქონლის მიწოდებით წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნები	5,850,393	9,052,583
ადგილობრივებისთვის საქონლის მიწოდებით წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნები	301,236	55,184
სხვა მოთხოვნები	863,677	862,677
სულ	7,015,306	9,970,444

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება სხვადასხვა მომსახურებისა და პროდუქციის შესყიდვის მიზნით მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსებისგან. აღნიშნული ავანსების ხარჯში/აქტივად აღიარება მოხდება შესაბამისი მომსახურების ან აქტივის მიღების შემდგომ. გადახდილ ავანსებში შედის ასევე თანამშრომლებისთვის ავანსად გადახდილი ხელფასი. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

გადახდილი ავანსები	31-12-21	31-12-20
არარეზიდენტი მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	1,178,272	-
ადგილობრივი მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	471,764	342,092
თანამშრომლებისთვის ავანსად გადახდილი ხელფასი	3,307	3,707
სულ	1,653,343	345,799

7. მარაგები

კომპანიის მარაგების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს რეალიზაციისთვის განკუთვნილი მზა პროდუქცია. გასაყიდი პროდუქციის ნაწილი შესყიდულია იმპორტის გზით, ხოლო ნაწილი წარმოადგენს მოსავლის აღების შედეგად მიღებულ პროდუქტს. კომპანიას მარაგებში აქვს ასევე ნედლეული და სხვა დამხმარე მასალები, რომელსაც იყენებს წარმოებისას. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

მარაგები	31-12-21	31-12-20
გასაყიდი პროდუქცია	2,850,761	343,585
ნედლეული და სხვა დამხმარე მასალები	33,399	80,102
სულ	2,884,160	423,687

8. ძირითადი საშუალებები

2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	გასვლა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ტექნიკა	-	1,443,688	-	1,443,688
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	11,568	-	-	11,568
მიწა	214,019	1,867,832	210,963	1,870,888
დაუმთავრებელი მშენებლობა	45,526	-	-	45,526
შენობები	1,067,778	-	-	1,067,778
სატრანსპორტო საშუალებები	36,934	84,137	23,948	97,123
მანქანა-დანადგარები	1,306,346	79,532	373,710	1,012,168
ოფისის აღჭურვილობა	19,766	4,353	14,752	9,367
ავეჯი და სხვა ინვენტარი	21,092	-	4,366	16,726
სულ	2,723,029	3,479,542	627,739	5,574,832

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	გასვლა	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ტექნიკა	-	136,063	-	136,063
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	6,915	698	-	7,613
მიწა	-	-	-	-
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	-	-	-
შენობები	240,514	42,707	-	283,221
სატრანსპორტო საშუალებები	22,076	15,342	17,962	19,456
მანქანა-დანადგარები	503,465	149,894	195,083	458,276
ოფისის აღჭურვილობა	11,067	735	8,818	2,984
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4,464	2,955	2,513	4,906
სულ	788,501	348,394	224,376	912,519

2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	გასვლა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	11,568	-	-	11,568
მიწა	451,390	-	237,371	214,019
დაუმთავრებელი მშენებლობა	45,526	-	-	45,526
შენობები	1,074,428	-	6,650	1,067,778
სატრანსპორტო საშუალებები	36,934	-	-	36,934
მანქანა-დანადგარები	1,058,501	248,235	390	1,306,346
ოფისის აღჭურვილობა	18,466	1,300	-	19,766
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4,171	16,921	-	21,092
სულ	2,700,984	266,456	244,411	2,723,029

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	გასვლა	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5,751	1,164	-	6,915
მიწა	-	-	-	-
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	-	-	-
შენობები	191,948	49,617	1,051	240,514
სატრანსპორტო საშუალებები	18,362	3,714	-	22,076
მანქანა-დანადგარები	304,685	198,974	194	503,465
ოფისის აღჭურვილობა	9,055	2,012	-	11,067
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2,074	2,390	-	4,464
სულ	531,875	257,871	1,245	788,501

9. სავაჭრო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-21	31-12-20
არარეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	251,463	1,899,157
ადგილობრივი მომწოდებლების მიმართ	163,566	113,155
სულ	415,029	2,012,312

10. მოკლევადიანი და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები

კომპანიამ 2021 წელს ლიზინგით აიღო ტექნიკა, რის შედეგადაც წარმოეშვა საიჯარო ვალდებულებები. 2021 წლის ბოლოს საიჯარო ვალდებულების მოკლევადიანი ნაწილი შეადგენდა 224,382 ლარს, ხოლო გრძელვადიანი - 971,597 ლარს.

11. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელი შემოსავალი შედგება კლიენტი კომპანიების მიერ შეძენილი პროდუქციისთვის ჩარიცხული ავანსებისგან. აღნიშნული ავანსების შემოსავალში აღიარება მოხდება პროდუქციის მიწოდების შემდგომ. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

გამოუმუშავებელი შემოსავალი	31-12-21	31-12-20
არარეზიდენტი კლიენტებისგან მიღებული ავანსები	739,283	44,318
ადგილობრივი კლიენტებისგან მიღებული ავანსები	275,486	1,635
სულ	1,014,769	45,953

12. გრძელვადიანი სესხები

კომპანიას აქვს აღებული სესხები ბანკებისგან, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

გრძელვადიანი სესხები	31-12-21	31-12-20
ბანკებისგან აღებული სესხები	2,244,211	1,221,834
იურიდიული პირებისგან აღებული სესხები	135,603	3,402,176
ფიზიკური პირებისგან აღებული სესხები	91,169	55,001
სულ	2,470,983	4,679,011

13. საწესდებო კაპიტალი

2021 და 2020 წლებში კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა და შეადგენდა 100 ლარს.

14. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყაროს წარმოადგენს მცენარის თესლებით, მარცვლეულითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი. კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ექსპორტის გზით.

კომპანია პროდუქციის ნაწილს ყიდულობს იმპორტის გზით, ხოლო მარაგების ნაწილი შედგება მის მიერ მოსავლის აღების შედეგად მიღებული პროდუქტისგან. აღნიშნული პროდუქციის თვითღირებულების ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად.

2021 და 2020 წლებისთვის შემოსავლების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი რეალიზაციიდან	31-12-21	31-12-20
შემოსავალი ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციიდან	451,371	298,789
შემოსავალი ექსპორტიდან	3,480,926	2,305,415
სხვა შემოსავალი	-	10,424
სულ	3,932,297	2,614,628

15. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

2021 და 2020 წლებისთვის სხვა არასაოპერაციო შემოსავლის / (ხარჯის) ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	31-12-21	31-12-20
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	1,752,063	616,121
მოსავლის მიღების შედეგად წარმოქმნილი ნამატი	1,282,667	-
სხვა შემოსავალი / (ხარჯი)	24,502	38,997
სულ	3,059,232	655,118

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

16.1 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2021 და 2020 წლების ბოლოს კომპანიას ჰქონდა შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და ძირითადი საშუალებების რეალიზაციის შედეგად წარმოშობილი სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-12-21	31-12-20
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ კომპანიასთან	89,716	700,000
სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ ფიზიკურ პირებთან	652,577	652,577
სულ	742,293	1,352,577

16.2 გაცემული სესხები

2021 წელს კომპანიამ გასცა 55,089 ლარის სესხი დაკავშირებულ ფიზიკურ პირზე, რომლის ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 33,976 ლარს.

16.3 გადახდილი ავანსები

2021 წლის ბოლოს დაკავშირებული კომპანიისთვის ავანსად გადახდილი თანხა შეადგენდა 1,178,272 ლარს, ხოლო 2020 წლის ბოლოს - 0 ლარს.

16.4 გამოუმუშავებელი შემოსავალი

2021 წლის ბოლოს, ისევე როგორც 2020 წლის ბოლოს დაკავშირებული კომპანიისგან ავანსად ჩარიცხული თანხის ნაშთი შეადგენდა 44,318 ლარს.

16.5 სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის ბოლოს დაკავშირებული კომპანიის მიმართ სავაჭრო ვალდებულება შეადგენდა 842,537 ლარს, ხოლო 2021 წლის ბოლოს - 0 ლარს.

16.6 აღებული სესხები

2021 წლის ბოლოსა და 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიას აღებული ჰქონდა შემდეგი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან:

სესხები	31-12-21	31-12-20
დაკავშირებული ფიზიკური პირები	91,169	55,001
დაკავშირებული იურიდიული პირი	-	3,266,573
სულ	91,169	3,321,574

16.7 მენეჯმენტის კომპენსაცია

2021 და 2020 წლებში მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 113,622 ლარი და 31,224 ლარი შესაბამისად.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.